აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №02/2004

26 მაისი 2004 წელი ქ.ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნების ძირითადი საარჩევნო ღონისძიებების გრაფიკის დამტკიცების თაობაზე

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 45-ე მუხლის 1 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნების ძირითადი საარჩევნო ღონისძიებების თანდართული გრაფიკი;
2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის 5) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში;
3. ეს განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე: /ირაკლი ფაღავა/

კომისიის მდივანი: /გიზო მჭედლიძე/